**შპს  ჰაზელნათ1997**

**ს/კ 206280781**

კ ო ნ ს ო ლ ი დ ი რ ე ბ უ ლ ი

ფ ი ნ ა ნ ს უ რ ი  ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს

თბილისი 2019 წ.

**შპს ჰაზელნათ1997 -ის ს/კ 206280781**

**კონსილიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

| (ლარში)<br>**აქტივები** | **საანგარიშგებო პერიოდი 2018** | **წინა საანგარიშგებო პერიოდი 2017** |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 67389 | 248233 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 679741 | 220589 |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 20268 | 2331 |
| მარაგები | 331794 | 21202 |
| - მზა პროდუქცია | 0 | 0 |
| - სხვა | 172735 | 141436 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 0 | 0 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 |
| - თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 |
| - გადაფასების მოდელით | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 5179 | 5179 |
| ძირითადი საშუალებები | 4045341 | 3837800 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 139859 | 139859 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | |
| **სულ აქტივები** | **5462306** | **4616629** |
| | | |
| ვალდებულებები | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 2670 | 10209 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | 411874 | 530558 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 1499424 | 596992 |
| მიღებული გრანტები | | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 1607399 | 1515399 |
| სულ ვალდებულებები | **3521367** | **2653158** |
| | | 0 |
| საკუთარი კაპიტალი | 1397246 | 1397246 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 543693 | 566225 |
| გადაფასების რეზერვი | | 0 |
| სხვა რეზერვები | | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | **1940939** | **1963471** |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | **5462306** | **4616629** |

დირექტორი ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688

შპს ჰაზელნათ1997 -ის ს/კ 206280781

## კონსილიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

| (ლარში)<br>აქტივები | საანგარიშგებო პერიოდი<br>2018 | წინა საანგარიშგებო პერიოდი<br>2017 |
|---|---|---|
| ფული და ფულის ეკვივალენტები | 67389 | ,248233 |
| სავაჭრო მოთხოვნები | 679741 | 220589 |
| გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი | 20268 | 2331 |
| მარაგები | 331794 | 21202 |
| - მზა პროდუქცია | 0 | 0 |
| - სხვა | 172735 | 141436 |
| საინვესტიციო ქონება | 0 | 0 |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 0 | 0 |
| ბიოლოგიური აქტივები | 0 | 0 |
| - თვითღირებულების მოდელით | 0 | 0 |
| - გადაფასების მოდელით | 0 | 0 |
| გუდვილი | 0 | 0 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 5179 | 5179 |
| ძირითადი საშუალებები | 4045341 | 3837800 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში | 139859 | 139859 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში | 0 | |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | 0 | |
| **სულ აქტივები** | **5462306** | **4616629** |
| | | |
| ვალდებულებები | | |
| ფინანსური იჯარის ვალდებულება | | |
| სავაჭრო ვალდებულებები | 2670 | 10209 |
| ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები | 0 | 0 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ | 0 | 0 |
| საგადასახადო ვალდებულებები | 0 | 0 |
| გამოუმუშავებელი შემოსავალი | 0 | 0 |
| მიმდინარე სასესხო ვალდებულებები | 411874 | 530558 |
| გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები | 1499424 | 596992 |
| მიღებული გრანტები | | 0 |
| სხვა ვალდებულებები | 1607399 | 1515399 |
| სულ ვალდებულებები | **3521367** | **2653158** |
| | | 0 |
| საკუთარი კაპიტალი | 1397246 | 1397246 |
| საემისიო შემოსავალი | 0 | 0 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები | 0 | 0 |
| გაუნაწილებელი მოგება / ზარალი | 543693 | 566225 |
| გადაფასების რეზერვი | | 0 |
| სხვა რეზერვები | | 0 |
| სულ საკუთარი კაპიტალი | **1940939** | **1963471** |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები | **5462306** | **4616629** |

დირექტორი ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688

შპს "ჰაზელნათ1997" საქართველო • GEORGIA HAZELNUT 1997 206280781 "HAZELNUT1997" LTD

**შპს ჰაზელნათ1997 -ის ს/კ 206280781**

**სრული შემოსავლის კონსილიდირებული ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

| | **საანგარიშგებო პერიოდი** |
|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | **2018** |
| საქონლის გაყიდვიდან | |
| მომსახურების გაწევიდან | **825546** |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | |
| სხვა | |
| | |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | |
| საწყისი მარაგები | 162638 |
| მარაგების შესყიდვა | 700410 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 |
| საბოლოო მარაგები | 504530 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | 64875 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 15038 |
| საპროცენტო შემოსავალი: | |
| საპროცენტო ხარჯი : | |
| იჯარის ხარჯი | |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 333022 |
| **საოპერაციო მოგება** | **-22532** |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | **-22532** |
| მოგების გადასახადი | |
| **მოგება/(ზარალი)** | **-22532** |

დირექტორი ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688

შპს ჰაზელნათ1997 -ის ს/კ 206280781

სრული შემოსავლის კონსილიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

| | საანგარიშგებო პერიოდი |
|---|---|
| **ნეტო ამონაგები** | **2018** |
| საქონლის გაყიდვიდან | |
| მომსახურების გაწევიდან | **825546** |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან | |
| სხვა | |
| | |
| **რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება** | |
| საწყისი მარაგები | 162638 |
| მარაგების შესყიდვა | 700410 |
| გადამუშავების დანახარჯები | 0 |
| საბოლოო მარაგები | 504530 |
| დასაქმებულთა ანაზღაურება | 64875 |
| ცვეთა და ამორტიზაცია | 15038 |
| საპროცენტო შემოსავალი: | |
| საპროცენტო ხარჯი : | |
| იჯარის ხარჯი | |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი | 333022 |
| **საოპერაციო მოგება** | **-22532** |
| | |
| **მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან** | **-22532** |
| მოგების გადასახადი | |
| **მოგება/(ზარალი)** | **-22532** |

დირექტორი ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688

შპს "ჰაზელნათ1997" საქართველო • GEORGIA HAZELNUT 1997 206280781 "HAZELNUT1997" LTD

**შპს ჰაზელნათ1997 -ის ს/კ 206280781**

**ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსილიდირებული ანგარიშგება**

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

| | **საანგარიშგებო პერიოდი** |
|---|---|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 1524386 |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | 1705230 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | |
| **წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში** | -229684 |
| სავალუტო კურსის ეფექტი | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | **248233** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **67389** |

დირექტორი ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688

შპს ჰაზელნათ1997 -ის ს/კ 206280781

ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსილიდირებული ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარი)

| | საანგარიშგებო პერიოდი |
|---|---|
| წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან | 1524386 |
| წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან | 1705230 |
| წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან | |
| **წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში** | -229684 |
| სავალუტო კურსის ეფექტი | |
| ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში | **248233** |
| **ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს** | **67389** |

დირექტორი ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688

**კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2018 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)**

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ჰაზელნათ1997 როგორც გადამხდელი რეგისტრირებულია 2007 წლის 26 მარტიდან, თბილისის საგადასახადო ინსპექცია .

იურიდიული მისამართი- საქართველო, ქ. თბილისის სამგორის რაიონში, ჭიჭინაძის ქ.1/3

შპს ჰაზელნათ1997 -ის დამფუძნებელია:

მერაბი მურღულია პ/ნ 01008004449, 100,0 %

დირექტორი- ლალი გოგიბერიძე პ/ნ 62005016688;

შპს ჰაზელნათ1997 -ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეებს.(ჩირი,ჩურჩხელა,დამწნილება-დამარილება,კაკალი და თხილის გაშრობა, გარჩევა, კაკლის მოხალვა, კომპოტი, მურაბა, ჯემი, კომფიტიური, მარმელადი და საკვები ჟელე, გაყინვა, გახმობა, ზეთში ან ძმარში ჩადება, პასტების და კვების სხვა პროდუქტები კაკლისაგან)

საზოგადოების სამეურნეო ხელმძღვანელობას ახორციელებს დირექტორი, დირექტორი უფლებამოსილია თავისი ბრძანებებით დანიშნოს მოადგილეები.

შპს ჰაზელნათ1997 , ს/კ 206280781 არის მეწილე:

- შპს ლა ტრუფ ს/კ 405022648 18.12.2013 წელი 100%

**მომზადების საფუძველი**

## 1. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

### 2. წარდგენის საფუძველი

კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (მსს ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. შპს ჰაზელნათ1997 -ის ფინანსური ანგარიშგება გამოშვებული და დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 15 აპრილს. კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს–ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგების

შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში.

### 3. შეფასება და მსჯელობის გამოყენება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-თან შესაბამისობაში, რაც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს ისეთი მსჯელობის, შეფასებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. რეალური შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებისგან.

საააღრიცხვო შეფასებისა და ძირითადი დაშვების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასების გადახედვის შედეგების აღიარება ხდება იმ პერიოდში.რომელიც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზეც მათ ექნებათ გავლენა.

ინფორმაცია კრიტიკულ მსჯელობის შესახებ, რომელიც გამოიყენება სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისას და რომელთაც აქვთ ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ შენიშვნებში:

### 4. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

#### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული კონსილიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

#### ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი), ნეტო“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

| | **საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი** | |
|---|---|---|
| | **აშშ დოლარი** | **ევრო** |
| კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.6766 | 3.0701 |

| | | |
|---|---|---|
| კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის | 2.5922 | 3.1044 |

**5. კაპიტალი**

**ჩვეულებრივი აქციები**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია როგორც კაპიტალიდან გამოქვითვა გადასახადების გათვალისწინებით.

**6. ძირითადი საშუალებები**

კომპანიაში ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. შესაბამისი ვალდებულება აღიარდება, როგორც ანარიცხი.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ჩანაცვლებული კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით.

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვის დაანგარიშება ხდება მათი დამონტაჟებისა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ან შპს ჰაზელნათ1997 -ისმიერ შიდა მოხმარებისათვის აგებულ აქტივებთან მიმართებაში, ცვეთის დაანგარიშება ხდება აქტივების დასრულებასა და გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოყვანის დღიდან. ცვეთა დაანგარიშდება აქტივის ღირებულებაზე (შემცირებული აქტივის ნარჩენი ღირებულებით) დაყრდნობით.

ცვეთა აისახება მოგება-ზარალში, წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებებისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივსი განვითარებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადრისი პერიოდების სავარაუდო სასრგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- შენობები 20 წელი
- ავტომობილები 5 წელი
- უძრავი ინვენტარი და მოწყობილობები 5 წელი
- კომპიუტერი და ტექნიკური აღჭურვილობა 5 წელი

ყოველი ფინანსური წლის ბოლოს ხორციელდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადის და დანარჩენი ღირებულების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი კორექტირება.

**7. დაბეგვრა**

პერიოდის საგადასახადო ხარჯი შედგება მიმდინარე და გადავადებული გადასახადების ხარჯისგან. გადასახადის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ

შემთხვევისა, როდესაც მისი წარმოშობა დაკავშირებულია სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში აღიარებულ მუხლებთან. ასეთ შემთხვევაში, გადასახადის აღიარება ხდება შესაბამისად - სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში.

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. მენეჯმენტი პერიოდულად ახდენს საგადასახადო მიდგომის გადახედვას, კანონმდებლობაში არსებული სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაბამისად. კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადის აღიარება ხდება აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის არსებული დროებითი სხვაოებების მიხედვით. თუმცა, გადავადებული მოგების გადასახადი არ აღიარდება, თუ ის წარმოშობილია აქტივის ან ვალდებულების თავდაპირველი აღიარების შედეგად, რომელიც ოპერაციის მოხდენის დროს გავლენას არ ახდენს არც საგადასახადო და არც ფინანსურ ბაზაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დაკავშირებულია ბიზნეს კომბინაციასთან. გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული მოგების გადასახადის განაკვეთის გამოყენებით, რომელიც მოსალოდნელია, რომ იმოქმედებს მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება და ვალდებულების დაფარვა.

გადავადებული საგადასახადო აქტივის აღიარება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მომავალში დასაბეგრი მოგების წარმოშობა, რომელიც მიმდინარე პერიოდის დროებით სხვაობებთან გაიქვითება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება გადაიხურება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს მიმდინარე საგადასახადო აქტივის მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებასთან გადახურვის სამართლებრივი უფლება, და როდესაც გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოშობილია ერთი და იმავე საგადასახადო კანონმდებლობის შედეგად, რომლის დროსაც აქტივის და ვალდებულების წმინდა თანხით წარდგენა შესაძლებელია.

**8. საოპერაციო იჯარა**

იჯარა არის საოპერაციო, თუ აქტივის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი რჩება მეიჯარეს. საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, საიჯარო გადასახდელები (მეიჯარისგან მისაღები თანხებით შემცირებული) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, იჯარის მთელი პერიოდის განმავლობაში პროპორციულად.

2.14 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

**9. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები**

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ

მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

**10. მოგების გადასახადი**

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს.

ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი.

კონტრაქტებიდან წარმოშობილი მოთხოვნების გაუფასურების ანალიზი

კომპანია აფასებს კონტრაქტებიდან წარმოშობილ მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუარესება. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში მენეჯმენტი აფასებს მოთხოვნების პორტფელის მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა კონსილიდირებული მოთხოვნის მომავალ ფულად ნაკადებს.

**11. ფინანსური შემოსავალი და ხარჯები**

ფინანსური შემოსავალი მოიცავს ინვესტიციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლებს, საპროცენტო შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალის დარიცხვისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდების გამოყენებით.
უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი და დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობები წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

**12.სესხები და მოთხოვნები**

შპს ჰაზელნათ1997 სესხებისა და მოთხოვნების გაუფასურების მტკიცებულებას განიხილავს როგორც კონკრეტული აქტივს. ყველა კონსილიდირებული მნიშვნელობის მქონე სესხები და მოთხოვნები მოწმდება სპეციფიკური გაუფასურების დადგენის კუთხით. ყველა მნიშვნელოვანი სესხი და მოთხოვნა, რომელიც ინდივიდუალურად არ გაუფასურებულა, ექვემდებარება გაუფასურების ანალიზს.

**13.პერსონალის მოკლევადიანი სარგებელი**

პეროსნალის მოკლევადიანი სარგებლის ვალდებულებები იზომება არადისკონტირებული თანხით და აღიარდება ხარჯად მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი ბონუსის ან მოგების განაწილების გეგმით და იმ შემთხვევაში, თუ შპს ჰაზელნათ1997 -ისმოცემულ მომენტში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, გადაიხადოს მომსახურე პერსონალის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების საფასური და ეს ვალდებულება შეიძლება საიმედოდ იქნეს შეფასებული.

**14. შემოსავლები**

შპს ჰაზელნათ1997 -ის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეებს.(ჩირი,ჩურჩხელა,დამწნილება-დამარილება,კაკალი და თხილის გაშრობა, გარჩევა, კაკლის მოხალვა, კომპოტი, მურაბა, ჯემი, კომფიტიური, მარმელადი და საკვები ჟელე, გაყინვა, გახმობა, ზეთში ან ძმარში ჩადება, პასტების და კვების სხვა პროდუქტები კაკლისაგან) მიღებული შემოსავალი, განისაზღვრება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიან ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები, სავაჭრო შეღავათები და მოცულობის ფასდაკლებები. შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი მომსახურების ხელშეკრულების სახით;

**15. მომსახურება**
შემოსავლის აღიარება ხდება შპს ჰაზელნათ1997 -ისმიერ შესაბამისი კანონმდებლობებისა და რეგულაციების ფარგლებში გაწეული მომსახურებებისა და ფარგლებში, როდესაც შემოსავლის თანხა შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ოპერაციებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი „კომპანიაში“ შემოედინება.

**16.ფინანსური შემოსავალი და ხარჯები**
ფინანსური შემოსავალი მოიცავს ინვესტიციებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავლებს, საპროცენტო შემოსავლები აღიარდება მოგება-ზარალის დარიცხვისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდების გამოყენებით.
უცხოური ვალუტის საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი აისახება ნეტო საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი და დამოკიდებულია იმაზე, არის თუ არა უცხოური ვალუტის მოძრაობები წმინდა მოგების ან წმინდა ზარალის პოზიციაში.

**17. მოგების გადასახადი**
მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მიმდინარე და გადავადებული გადასახადები აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში გარდა იმ ნაწილისა, რომელიც მიეკუთვნება ბიზნეს კომბინაციებს, პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულ ერთეულებს.

**18.დივიდენდები**
გადასახდელი დივიდენდები შეზღუდულია შპს ჰაზელნათ1997 -ის მაქსიმალური გაუნაწილებელი მოგებით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად. შპს ჰაზელნათ1997 -ისგასანაწილებელი რეზერვები იზღუდება გაუნაწილებელი მოგების ნაშთით, რომელიც განსაზღვრულია შპს ჰაზელნათ1997 -ისნორმატიული ფინანსურ ანგარიშგებაში ფასის შესაბამისად.

**19.ლიკვიდურობის რისკი**
ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ შპს ჰაზელნათ1997 ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, შპს ჰაზელნათ1997 -ისყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის რისკის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე.

**20 სააღრიცხვო კლასიფიკაციები და სამართლიანი ღირებულება**
ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება არსებითად არ განსხვავდება მათი საბალანსო ღირებულებისაგან.

**21კაპიტალის მართვა**

შპს ჰაზელნათ1997 -ისსაქმიანობის საქმიანიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა შპს ჰაზელნათ1997 არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს.

## 22. შემოსავლები და ხარჯები

საწარმოს ძირითადი საქმიანობაა :

- ბოსტნეულის გადამუშავების და კონსერვირების სხვა სახეებს.(ჩირი,ჩურჩხელა,და მწნილება-დამარილება,კაკალი და თხილის გაშრობა, გარჩევა, კაკლის მოხალვა, კომპოტი, მურაბა, ჯემი, კომფიტიური, მარმელადი და საკვები ჟელე, გაყინვა, გახმობა, ზეთში ან ძმარში ჩადება, პასტების და კვების სხვა პროდუქტები კაკლისაგან)
- საკუთარი ქონების გაქირავება,
- საცალო და საბითუმო ვაჭრობა პროდუქტებით.

შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც საიმედო მტკიცებულება არსებობს, როგორც წესი გაყიდვის ხელშეკრულების სახით;

## 23. ოპერაციები ურთიერთდამოკიდებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მფლობელებს, საერთო მფლობელობაში არსებულ კომპანიებს, ერთობლივ და მეკავშირე საწარმოებს. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

2018 წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.

## 24. პირობითი ვალდებულებები

**სასამართლო დავები** - 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

**გადასახადები** - საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

**საოპერაციო გარემო** - საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.